ოლიმპიადა ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ოლიმპიადის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად ***უნდა შეასრულოთ ორივე დავალება*** *(წერითი დავალება № 1 და წერითი დავალება № 2).*

დავალებათა შესასრულებლად გეძლევათ ***3 საათი.***

თითოეული დავალების ***მაქსიმალური ქულაა 20.***

ორივე თხზულება უნდა გადაიტანოთ ***პასუხების ფურცელში.***

წერითი დავალება № 1

ინსტრუქცია:

ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული ტექსტი. კარგად გაიაზრეთ იგი, იმსჯელეთ, რის თქმა სურს ავტორს და გამოხატეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება.

ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად დასაბუთებული იქნება ესა თუ ის შეხედულება შესაბამისი არგუმენტებით.

სასურველია ნაშრომი ერთი გვერდი მაინც გამოვიდეს. მსჯელობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ წაკითხული წიგნი, ნანახი ფილმი თუ სპექტაკლი.

ნამუშევარი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში.

გაითვალისწინეთ, ***შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.***

გისურვებთ წარმატებას!

ერლომ ახვლედიანი

ძუნწი კაცის ამბავი

კაცი იყო, დიდი ფული ჰქონდა. არ ხარჯავდა, არ ხარჯავდა და ფულს მობეზრდა უქმად ყოფნა და ძუნწი კაცი თვითონ მიფლანგ-მოფლანგა.

ჯერ იყო და მისი პატიოსნებით დიდ-დიდ თანხებთან ერთად კარგად წაიქეიფა, ნამცეცობაზე საშუალო ფულებს უმასპინძლა. ნასუფრალზე ხურდაც მოიმადლიერა.

ნაბახუსევზე მისი ერთგულება დაამღერა.

სიყვარული ბანქოში წააგო.

ვაჟკაცობა დააგირავა.

თანაგრძნობა, ლმობიერება და ალერსი კამათელს გადააყოლა.

სულგრძელობა და მოთმინება ქრთამად მისცა.

ყველა სხვა წვრილ-წვრილი ნიჭი გლახაკ და ყალბ ფულებს გადაუყარა.

ბოლოს, იმედად, იმ კაცისაგან ერთი გაცრეცილი თამასუქიღა შემორჩა. იფიქრა, ამ თამასუქით ძუნწი კაცის რაიმე უნარს გამოვისყიდიო, მაგრამ ისიც ქარმა აუფრიალა და გადაუკარგა.

და დარჩა ძუნწი კაცი მარტოხელა, უპატრონო, ოხერ-ტიალი, მუთაქაში ჩატენილ-ამოკერილ-მივიწყებულ-გაუფასურებული.

შავი სამუშაოსათვის

წერითი დავალება № 2

ინსტრუქცია:

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები. ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით.

სასურველია ნაშრომი ერთი გვერდი მაინც გამოვიდეს, რათა მასში სრულად აისახოს თქვენი დამოკიდებულება დასმული საკითხის მიმართ.

ნამუშევარი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში.
გისურვებთ წარმატებას!

სამყარო რომ უკეთესი გახდეს, საკმარისია საკუთარი თავი შეცვალო.

გაიხსენეთ სკოლაში შესწავლილი ერთი ნაწარმოები მაინც, რომელიც ამ პრობლემას ეხმიანება.

- ჩამოაყალიბეთ, როგორია ამ ნაწარმოებში გამოხატული პოზიცია.
- იმსჯელეთ, როგორია თქვენი დამოკიდებულება ავტორის პოზიციის მიმართ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მას.

შავი სამუშაოსათვის